

ევროპის მომავლის კონფერენცია: რა არის შემდეგი ნაბიჯი?

ევროპის მომავლის კონფერენციის და მასთან დაკავშირებული ონლაინ პლატფორმის ამოქმედებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ამბიციური ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა.

ორშაბათს, 2022 წლის 9 მაისს, ანტონელა ვალმორბიდა, ALDA-ს გენერალური მდივანი, სტრასბურგის ოფისის კოლეგებთან ერთად მიწვეული გახლდათ ევროპის მომავლის კონფერენციის დახურვის ცერემონიაზე.

ქალბატონი ვალმორბიდა სრულიად იყო ჩართული სამოქალაქო საზოგადოების კონვენციის ნაწილში ევროპის მომავლის კონფერენციაზე, როგორც მმართველი კომიტეტის წევრი და როგორც დემოკრატიის ჯგუფის თავმჯდომარე.

ევროპელი მოქალაქეები მოწვეულნი იყვნენ კონფერენციაზე რათა გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები თუ რას ფიქრობდნენ ევროკავშირის მომავალზე. ასევე, განეხილათ საკითხები, რომელთა მოგვარებაც ევროკავშირს მოუწევს მომდევნო წლებში.

დებატები და თანამშრომლობა მოქალაქეებსა და პოლიტიკოსებს შორის დასრულდა გაჟღერებული 49 წინადადების შესახებ [მოსხენებით](#). ანგარიში მოიცავს კონკრეტულ მიზნებს და 320-ზე მეტ რეკომენდაციას ევროკავშირის დაწესებულებებისთვის, რომელიც ფოქუსირებულია ცხრა ძირითად თემაზე: კლიმატის ცვლილება და გარემო; ჯანმრთელობა; ძლიერი ეკონომიკა, სოციალური სამართლიანობა და სამუშაო ადგილები; ევროკავშირი მსოფლიოში; ღირებულებები და უფლებები, კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება, ციფრული ტრანსფორმაცია, ევროპული დემოკრატია, მიგრაცია, განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.

კონფერენციის დახურვის ცერემონიაზე ევროპარლამენტის პრეზიდენტმა რობერტა მეცოლამ, პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა საბჭოს თავმჯდომარეობის სახელით და ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლეიენმა მოიწონეს ზემოთაღნიშნული ანგარიში.

და მაინც, რჩება ერთი კითხვა: თუ როგორ ეფექტურად წამოყვებიან დაწესებულებები/ორგანიზაციები ამ წინადადებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და ხელშეკრულებების შესაბამისად? პირველი უკუკავშირის მიღებას შევძლებთ სპეციალურად ორგანიზებული ღონისძიების დროს, რომელიც გაიმართება 2022 წლის შემოდგომაზე.

ALDA სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და ევროპელ პარტნიორებთან ერთად შეასრულებს თავის მოვალეობას, ყურადღებით დააკვირდება პროცესს, რათა უზრუნველყოფს მოქალაქეთა მონაწილეობა და შეამციროს ბარიერი დაწესებულებებსა და ადამიანებს შორის.